

არქეოლოგია, ეთნოლოგია Archaeology, Ethnology

ლერი ჯიბლაძე

**ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორადი ცენტრები კოლხეთის დაბლობზე**

(ზოგადი მიმოხილვა ნამოსახლარების მასალების მიხედვით)

კოლხეთის დაბლობზე ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან<sup>1</sup> საფუძველი ეყრება ბრინჯაოს მეორად მეტალურგიულ წარმოებას და ძვ. წ. II ათასწლეულის განმავლობაში განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს. ლითონჩამომსხმელი სახელოსნოების ნაშთები, მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული ნივთებით (ყუამილიანი ცულები, თოხების, შუბისპირების, სატევრისპირების ყალიბები მათზე დამზადებული ბრინჯაოს ნივთებით, მრავალგანყოფილებიანი ყალიბები, გამლვარი ლითონის ჩამოსასხმელი ციცხვები და სასხმელები, ტიგელები, ბრინჯაოს ნალვენტები, ნიდები) გამოვლენილია პროტო და ძველი კოლხური კულტურების ნამოსახლარების ფენებში: ფიჩორის ცენტრალური ბორცვი (VI, VII, VIII ფენები), ფიჩორის N 6 ბორცვი, ფიჩორის N 4 ბორცვი, ყულევი II, ერგეტა, დაბლაგომი, ნამჭედური (გვიანბრინჯაოს ხანის ფენები), ტამიში, ჩოლოქი (გვიანბრინჯაოს ხანის ფენები), ანაკლია I, ისპანი, ანაკლია II და სხვა ძეგლები [1:16-19; 5:57; 6:71-80; 9:32; 10; 28, ტაბ. IV; 15:17-25; 16; 20:80; 29, ტაბ. VII; 27:248, ტაბ. 64 16,17; 23; 24:23-25; 25:10].

როგორც მონაპოვარი მასალები ადასტურებენ ლითონჩამომსხმელი სახელოსნოები<sup>2</sup> გამართული იყო არა ნამოსახლარებიდან დამორებით, არამედ, როგორც უკვე აღინიშნა, თვით ნამოსახლარის

<sup>1</sup> კოლხეთში ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ჩანს მეტალურგიული წარმოების კვალი (თეთრი მღვიმე, საგვარჯილე, სამურცხლე კლდე, სამეღე კლდე, ტუტუნა, ჩიხორი [13:29,43]).

<sup>2</sup> ჩოლოქისპირა ნამოსახლარის V კულტურულ ფენაში გამოვლენილ ხის მორებით ნაგებ ჯარვკლური წყობის ლითონჩამომსხმელ სახელოსნოს წრიული ფორმა გააჩნდა. გარეთა კედლის დიამეტრი 8,8ი მ. ხოლო შიდა კედლის დიამეტრი 6,6ი მ. წარმოადგენდა. ფართობი კი 34,2 კვ. მეტრს შეადგენდა. შენობის შიგნით დაფიქსირდა თიხითა და თლილი ძელებით ამოყვანილი მაგიდა და მრგვალი კერა. ასევე რამდენიმე ათეული მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული ნივთი [15:7].

კულტურულ ფენებში, ზოგჯერ მის განაპირა პერიფერიულ მხარეს. აქ კი მიმდინარეობდა ბრინჯაოს ნედლეულის მეორადი გადამუშავება საბრძოლო თუ სამეურნეო დანიშნულების ნივთების ჩამოსხმა.

სადღეისო მონაცემების მიხედვით, კოლხეთის დაბლობზე ნამოსახლარების კულტურულ ფენებში გამართული ბრინჯაოს მეორადი წარმოების ცენტრებზე დაყრდნობით, უფრო დაწინაურებული ჩანს ზღვისპირა სანაპირო ზოლი, ვიდრე მისი შიდა რეგიონი. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ზღვისპირა სანაპირო ზოლსა და მის სიახლოვეს განფენილ ნამოსახლარებზე უფრო მძლავრი ლითონჩამომსხმელი მეორადი წარმოების ცენტრებია აღმოჩენილი (ფიჩორის ცენტრალური ბორცვი, ჩოლოქი, ნამჭედური, ყულევი II), ვიდრე ზღვიდან დაშორებულ შიდა რეგიონის ძეგლებზე (ნოსირი III, საელიაოს კურზია, წყემი, ნაოხვამუ, დაბლაგომი და ა. შ.). თუმცა ის ფაქტორიც გასათვალისწინებელია, რომ იშვიათი გამოჩენისის გარდა (ნოსირი III, შესაძლოა, ნაოხვამუ), ეს უკანასკნელნი პირველთან შედარებით, მცირე მასშტაბებშია გათხრილი. აქედან გამომდინარე, ძნელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებულ ნივთებზე (მხედველობაში გვაქვს კოლხეთის დაბლობის შიდა რეგიონში მდებარე ნამოსახლარები). ალბათ, იმასაც უნდა გაეცვას ხაზი, რომ ზღვისპირა სანაპირო ზოლში ნამოსახლარების კულტურულ ფენებში აღმოჩენილი ბრინჯაოს მეორადი წარმოების ცენტრები (პირველ რიგში მხედველობაში გვაქვს იმ მდინარეების ქვემო წელის სანაპიროებზე არსებული ნამოსახლარები, რომელთა სათავეებთან გამოვლენილია სპილენძის საბადოები – მაგ. მდ. ენგური) მდინარეების ხეობებით უფრო მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო პირველადი ცენტრებიდან სპილენძის ნედლეულით მომარაგების დროს. სავარაუდოა, რომ ბარში არსებულ ლითონჩამომსხმელ სახელოსნოებში თავდაპირველად სპილენძის ნედლეული შემოდიოდა ნახევარფაბრიკატების (ვგულისხმობთ ადრებრინჯაოს დასასრულს და შუაბრინჯაოს ხანას), შემდეგ კი დაყალიბებული ზოდების სახით. ნამოსახლარებზე არსებულ ლითონჩამომსხმელ სახელოსნოებში მიმდინარეობდა მათი მეორადი გადამუშავება, სიმყარისათვის საჭირო ნივთიერებების დარიშხანისა და კალის მიერთება. ჭარბად მოწოდებული ზოდები ინახებოდა ნამოსახლარებთან იქვე ახლოს გამართულ ე.წ. სათავსოებში. შესაძლოა, ამ ფაქტს ადასტურებდეს მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ფიჩორისა და ნაკარღალის ნამოსახლარების მიმდებარე ტერიტორიაზე ერთად თავმოყრილი ზოდების აღმოჩენა. იქნებ, ეს ფაქტი მიგვითითებს იმაზეც, რომ ლითონ-

წნამომსხმელი სახელოსნოები<sup>3</sup> ზოგჯერ შეფერხებით მუშაობდა და დროულად ვერ ამუშავებდა ბრინჯაოს ნედლეულს. ზოგიერთ ლითონჩამომსხმელ სახელოსნოში (ფიჩორი, ჩოლოქი) გამოვლენილი ბრინჯაოს მეორად მეტალურგიულ წარმოებასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი ნივთების მიხედვით, დასაშვებად მიგვაჩინია, რომ აქ დამზადებული ინვენტარი ხმარდებოდა არა მარტო საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, არამედ მათი საშუალებით მარაგდებოდა ახლომდებარე დასახლებებიც. შესაძლოა ისინი წარმოადგენდა ახლომდებარე დასახლებებთან გაცვლა-გამოცვლის საგნებსაც. ლითონჩამომსხმელ სახელოსნოებში გამოვლენილი ნივთები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ბრინჯაოს ხანაში კოლხეთის ბარის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა იყო მეტალურგია და მიწათმოქმედება. თუმცა ისინი მონადირეობას, თევზჭერასა და მეურნეობის სხვა დარგების საქმიანობასაც მისდევდნენ. ბარში გამართული ლითონჩამომსხმელი სახელოსნოები სპილენძის (ბრინჯაოს) ნედლეულით მარაგდებოდა კოლხეთის მთიანი რეგიონიდან სპილენძის უძველესი გამონამუშევრებიანი მარტივი და რთული კონსტრუქციის მქონე მალაროებიდან (ზემო სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, მდ. კოდორისა და ბზიფის სათავეები – ბაშკაფცარა, [2:3:16-20; 4:44I-443; 5:52-62; 12:109-110; 7:52-62; 11:105; 14:122-126; 17:50-58; 19:183-194; 21:230-231; 22:192]).<sup>4</sup>

ფიქრობენ, რომ უფრო წვრილ-წვრილ სპილენძის საბადოებს (მდ. ბახვის წყლის, ნატანებისა და მისი შენაკადების აუზები, სოფ. ვაკიჯვარი ადგილი ქორბუდა, მდ. აჭარწყლის მთიანეთი) შეეძლო დაეკმაყოფილებინა ადგილობრივი მეტალურგიული კერები და

<sup>3</sup> სპილენძის სადნობი ლუმელს ნაშთები მიკვლეულია სოხუმის მთაზე, ენვურძის კაშხლის მშენებლობის ტერიტორიაზე მაქსანიას გამოქვაბულში (გვიანბრინჯაოს ხანის ფენა, [8:58-66; 17:55-56]). აღნიშნავენ, რომ სხვა მეტალურგიული წარმოების პროცესებთან ერთად, აქ მიმდინარეობდა სპილენძის ზოდების ჩამოსხმა [17:56]. მიიჩნევენ, რომ ლითონდამუშავების სანარმოები, ლითონდამუშავებული სახელოსნოები არსებობდა ვანძების აღმოჩენის ადგილზე, მსხვილ სამოსახლო ცენტრთან სიხლოვის [11:104-105].

<sup>4</sup> მ. ბარამიძის აზრით შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოს ხანის ვარდამავალ ეტაპზე ბარიდან მთაში ინაცვლებს მოსახლეობა. ამ მიზეზს ხსნის იმით, რომ ბრინჯაოს მეტალურგიის აღმავლობამ გაზარდა მოთხოვნილება სპილენძის მადანზე [1:20]. საესეებით მართებულია გვეჩვენება შ. ჩართოლანის მოსაზრება რომლის თანახმად სვანურენოვანი ქართველური ნაკადი ამ მხარეში მუდმივად ცხოვრობს ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან [20:244]. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარეში გამოვლენილია ბრინჯაოს ხანის ერთეული ნამოსახლარები (სოფ. იფარი – „ლასილა-ლაროლარ“, „სვიმულად“, სოფ. ვალა – „სკარემის ვორა“, მესტია – „ზურულდ“, [18:71-72; 30:115]) აღნიშნულ მოსაზრებას უნდა ადასტურებდეს სვანეთის რეგიონში შემახვევით აღმოჩენილი ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ლითონის მრავალრიცხოვანი ინვენტარი.

ლითონის ჩამომსხმელი სახელოსნოები [14:126]. სავარაუდოა, რომ კოლხეთის დაბლობის ლითონჩამომსხმელი სახელოსნოების ბრინჯაოს ნედლეულით მომარაგების დროს უფრო ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო ახლოს მდებარე ტრანსპორტირებისათვის შედარებით იოლად მისაწვდომი საბადოები. ამდენად, ზემო სვანეთიდან მდ. ენგურის ხეობით სავსებით დასაშვებია მისი ქვემო წელის ნამოსახლარების მომარაგება სპილენძის ნედლეულით. მიიჩნევენ, რომ ბზიფისა და კოდორის სათავებთან სპილენძის მალაროებში მოპოვებული ნედლეული, აქედან შორს, სხვა მხარეებშიც გადიოდა. ამ სამთამადნო კერით უნდა ესარგებლა კოლხეთის მთისა და ბარის მნიშვნელოვან ნაწილს [17:58].

კოლხეთის ბარში ნამოსახლარის კულტურულ ფენებში გამართულ უადრეს ლითონჩამომსხმელ სახელოსნოებში ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების დაწყება ტრადიციული დათარიღებით მოდის ადრებრინჯაოს დასასრულსა და შუაბრინჯაოს ხანაზე, რომელიც უნდა თანხვედბოდეს კოლხეთის მთიანეთში სპილენძის უძველესი გამონამუშევრებიანი მარტივი კონსტრუქციის მალაროებიდან სპილენძის მოპოვების დაწყებას და მათ პირველად დამუშავებას [22:192]. შემდეგ კი ხდება სპილენძის ნედლეულის მოპოვება რთული კონსტრუქციის მალაროებიდან (გვიანბრინჯაოს ხანა).

კოლხეთის დაბლობის (საერთოდ კოლხეთის) ბრინჯაოს მეორადი მეტალურგიული წარმოების ცენტრები არ არის იზოლირებული გარე სამყაროდან და გარკვეული კონტაქტები გააჩნია მათთან.

კოლხეთის დაბლობის მეტალურგიული ცენტრები ძვ. წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან განიცდიდა რა წინა აზიის, მცირე აზიისა და მტკვარ-არაქსის კულტურის მეტალურგიული კერების გავლენებს, შუა და გვიანბრინჯაოს ხანაში თვითონ ახდენს მძლავრ ზემოქმედებას ჩრდილოეთ კავკასიის მეტალურგიულ ცენტრებზე (განსაკუთრებით, ჩრდილოეთ ყუბანისპირეთის). იგი, ალბათ, წარმოადგენდა ერთგვარ დამაკავშირებელ რგოლს წინა აზიის, მცირე აზიის, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებს შორის. მკვლევარები პირდაპირ მიუთითებენ კავკასიიდან, მათ შორის, კოლხეთის დაბლობიდან ყუბანისპირეთში ცულების იმპორტირებას [26:17-22; 31:19-23]. უნდა ვიგულისხმოთ, რომ კოლხეთის მეტალურგიული ცენტრებიდან იმპორტის სახით (ანდა მეტალურგიული კერის გავლენებით) ჩრდილოეთ კავკასიაში ვრცელდებოდა ურეკ-ლექქოფური, საჩხერული, ეშერული, განთიად-ფიჩორული ტიპის ყუამილიანი ცულები [26:36-38, 29]. კოლხეთის

დაბლობის ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულით დათარიღებულ ნამოსახლარებზე აღმოჩენილ სახელოსნოებში ჩანს ე. ჩერნიხის მიერ გამოყოფილი ცირკუმონტიის მეტალურგიული პროვინციებისათვის (მხედველობაში გვაქვს II ეტაპის ადრეული ფაზა, რომელიც მოიცავს ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარსა და მთლიანად ძვ. წ. III ათასწლეულს) დამახასიათებელი ლითონჩამომსხმელი ტექნიკის ელემენტები: გამლღვარი ლითონის ჩასხმა მუცლის მხრიდან მთლიანად გახსნილ ორსადგულიან ყალიბებში. ასეთ წესს ვხვდებით მტკვარ-არაქსის ფინალური ეტაპის ძეგლებზეც. ასევე მიიჩნევენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიისათვის შუაბრინჯაოს ხანაში ყუამილიან ცულებში ზურგის ან ყელის მხრიდან სასხმელის გამოყენება არ იყო მემკვიდრეობა მაიკოპის კულტურიდან. ცულის ფორმები და ჩამოსხმის ეს წესი შემოტანილი უნდა ყოფილიყო სამხრეთიდან ამიერკავკასიის შავი ზღვისპირეთიდან [26:38]. ცხადია, ამ შემთხვევაში კოლხეთი იგულისხმება, როგორც მეზობელი და მეტალურგიის მხრივ მეტად დაწინაურებული რეგიონი.

ასეთია ზოგადი მიმოხილვა კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორადი ცენტრებისა.

#### გამოყენებული ლიტერატურა

1. მ. ბარამიძე, აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთი ძვ. წ. II-I ათასწლეულის პირველ ნახევარში (ძირითადი პრობლემები). სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 1998
2. გ. გობეჯიშვილი, ძველი სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ნაშთები სოფ. ლებთან. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, № 3, თბ., 1952
3. გ. გობეჯიშვილი, ძველი სამთამადნო წარმოების ძეგლები რაჭაში, ძეგლის მეგობარი, № 6, თბ., 1966
4. გ. გობეჯიშვილი, თ. მუჯირი, გ. ინანიშვილი, ბ. მაისურაძე. მთიანი რაჭის უძველესი ბრინჯაოს წარმოების ისტორიისათვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, III, № 2, თბ., 1983
5. ე. გოგაძე, კოლხეთის ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ნამოსახლართა კულტურა, თბ., 1982
6. ვ. თოლორდავა, არქეოლოგიური გათხრები დაბლაგომში 1973-1974 წ.წ. ვანი III, თბ., 1977
7. გ. ინანიშვილი, შ. ჩართოლანი, ბ. მაისურაძე, გ. გობეჯიშვილი, თ. მუჯირი, საქართველოს უძველესი სამთამადნო ძეგლები, ძიებანი, N 2, 1998.

8. ალ. კალანდაძე, სოხუმის მთის არქეოლოგიური ძეგლები, სოხუმი, 1954
9. რ. პაპუაშვილი, არქეოლოგიური გათხრები ყულევში 1999-2001 წ. ურბანიზმი შავიზღვისპირეთში არქაულსა და კლასიკურ ხანაში, თბ., 2002
10. რ. პაპუაშვილი, ნ. პაპუაშვილი, კოლხეთის ძველი ნამოსახლარები. ერგეტა, თბ., 2005
11. ალ. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974
12. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959
13. გ. ფხაკაძე, დასავლეთ ამიერკავკასია ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულში, თბ., 1993
14. დ. ქორიძე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, თბ., 1965
15. ი. ჩავლეიშვილი, კოლხური ბრინჯაოს საწარმოო კერა ჩოლოქ-ოჩხამურის ხერთვისში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები XIX, თბ., 1991
16. ი. ჩავლეიშვილი, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან. საკანდიდატო დისერტაცია, ხელთნაბეჭდი, თბ., 1999
17. შ. ჩართოლანი, სპილენძის ძველი სამთამადნო გამონამუშევრები მდ. ბზიფისა და კოდორის ხეობაში. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წ. თბ., 1971
18. შ. ჩართოლანი, სვანეთის არქეოლოგიური დაზვერვა 1971 წელს. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ., 1972
19. შ. ჩართოლანი, ძველი სვანეთი, თბ., 1996
20. ნ. ხოშტარია, სოფ. ყულევის არქეოლოგიური გამოკვლევა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 81-2, თბ., 1946
21. ო. ჯაფარიძე, შუაბრინჯაოს ხანა საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, თბ., 1970
22. ო. ჯაფარიძე, საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1991
23. ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა სტრატეგრაფია, ქრონოლოგია და პერიოდიზაცია (ფიჩორის ნამოსახლარის ცენტრალური ბორცვის მასალების მიხედვით), თბ., 1997
24. ლ. ჯიბლაძე, კოლხეთის დაბლობის ძველი წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულების ნამოსახლარები, სადოქტორო დისერტაცია, ხელთნაბეჭდი, თბ., 2002
25. В. Бжания, Д. Бжания, Л. Когония, Г.Сангулия, А. Джопуа, Работы в селе Тамиши. АО Абхазии в 1986-1987 гг. Тб., 1990

26. Корневский С., Втульчатые топоры оружие ближнего боя эпохи средней бронзы. Северный Кавказ и Средняя Азия в древности и средневековья, М., 1981
27. Куфтин Б., Материалы к археологии Колхиды, том II, Тб., 1950
28. Микеладзе Т., Хахутаишвили Д. Древне-колхидское поселение Намчедури, Тб., 1985
29. Микеладзе Т., К археологии Колхиды (эпоха средней и поздней бронзы раннего железа), Тб., 1990
30. Чартолани Ш. К истории нагорья западной Грузии до классовой эпохи, Тб., 1989
31. Черных Е. Metallургические провинции и периодизации эпохи раннего металла на территории ССР, СА, № 4, М., 1978

Leri Jibladze

### **Centres of Secondary Production of Bronze Articles on Colchis Lowland**

(general review of materials from the excavation of settlements)

On the territory of Colchian lowland in cultural layers iron moulding workshops of the second half of the III millennium B.C. were discovered.

The copper materials the workshops situated on the lowland were supplied from the mountainous regions of the Colchis (Upper Svaneti, Upper Ratcha, outsets of the river Bziphi and Kodori) from the existing copper deposits.